

GENPOWER
DIGITALDRUCK • TEXTILDRUCK • WERBETECHNIK • MESSEBAU
WWW.S-PRESS-DIGITALDRUCK.DE TEL: 09 21/28 9954 70


GX470
TQT-81
TAXI

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 01/3865

" 21 " 12 2011

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – კრწანისი), პუშკინის ქ. №1-3-ში შ.პ.ს. „თაუერ ენდ კომპანი"-ს, შ.პ.ს „ვ.ვ.ვ"-სა და სააქციო საზოგადოება „მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის არქიტექტუტრული პროექტის შეთანხმების შესახებ.

დამკვეთი – შ.პ.ს. „თაუერ ენდ კომპანი", შ.პ.ს „ვ.ვ.ვ" და სააქციო საზოგადოება „მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკა"

საპროექტო ორგანიზაცია – შ.პ.ს. „არქიტექსი"
ავტორი – რ. ბედინაშვილი, გ. ჩინჩალაძე, ს. ჯაფარიძე

საფუძველი: – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა (სარეგისტრაციო №882010714020, საკადასტრო კოდი №01/18/03/018/036);
– ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 19.09.08 წლის №01/1247 ბრძანება კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ და 02.06.09 წლის №6/671 ბრძანება მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ;
– ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.10.11 წლის №4106 ბრძანება ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების თაობაზე;
– ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.10.11 წლის №4421 ბრძანება ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 12.07.06 წლის №კონ-1/53 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე;
– ქ. თბილისის მერის 10.10.2011 წლის №2370 განკარგულება;
– ქ. თბილისის საკრებულოს 28.10.2011 წლის №11-45 გადაწყვეტილება;
– გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომის ოქმი №39, 27.09.2011წ;
– 21.09.11 წლის №12/123421-13 განცხადება;

IV კლასის შენობა-ნაგებობა

მიწის ნაკვეთის ფართი	– 900.00 მ²
განაშენიანების ფართი	– 891.82 მ²
საერთო ფართი.	– 8704.87 მ²
მათ შორის:	
კომერციული ფართი	– 750.74 მ²
ოფისების ფართი	– 5108.98 მ²
სასაფხულო ფართი	– 418.14 მ²
მიწისქვეშა ავტოსადგომების ფართი	– 1622.72 მ²
პანდუსის ფართი	– 239.08 მ²
ვესტიბიულის ფართი	– 565.21 მ²
სამშენებლო ფართი	– 9918.60 მ²
სამშენებლო მოცულობა	– 32291.00 მ³

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 61-ე მუხლის, მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების თანახმად,

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ.: (+995 32) 72 22 22 ფაქს.: (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – კრწანისი), პუშკინის ქ. №1-3-ში შ.პ.ს. „თაუერ ენდ კომპანი"-ს, შ.პ.ს „ვ-ვ-ვ"-სა და სააქციო საზოგადოება „მე-11 შრეული ტიპის პოლიკლინიკა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი;
2. სამშენებლო სამუშაოები დაწყებულ იქნას მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ;
3. განემარტოს დამკვეთს რომ, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე წარმოდგენილი უნდა იქნას: 1. ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა პროექტით ტროტუარზე გათვალისწინებულ სამუშაოთა შესახებ; 2. კორექტირებული საკადასტრო საზღვრები (წარმოდგენილ ნახაზებზე „1" ღერძთან ნაჩვენები გარე კედელი ცდება საკასასტრო საზღვარს); 3. მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა მიჯნის ზონაში ღიობების მოწყობასთან დაკავშირებით;
4. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მოღებულ იქნას ექსპლუატაციაში;
5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის.: შარტავას ქ. №7) 1 თვის ვადაში.

ძველი თბილისის სანებართვო
განყოფილების უფროსი

გ. თავაძე